ონის მუნიციპალიტეტის მერიის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს სხდომის

ო ქ მ ი N 4

ქ. ონი

2022 წლის 22 დეკემბერი

სხდომას თავმჯდომარეობდა სერგი ხიდეშელი, მუნიციპალიტეტის მერი, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს თავმჯდომარე

სხდომას ესწრებოდნენ:

ლევან შერაზადიშვილი- მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;

მანანა ჩაგელიშვილი - მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდობის საქმეთა, ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სამსახურის ხელმძღვანელი, საბჭოს წევრი;

მარინე რაზმაძე - მუნიციპალიტეტის მერიის მეორადი სტრუქტურული ერთეულის - სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის განყოფილების ხელმძღვანელი, საბჭოს წევრი;

ხათუნა ღუღუნიშვილი - მუნიციპალიტეტის მერიის მეორადი სტრუქტურული ერთეულის - განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა განყოფილების ხელმძღვანელი, საბჭოს წევრი;

ია ალიბეგაშვილი - საბჭოს წევრი;

ლამარა გამყრელიძე - მუნიციპალიტეტის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდობის საქმეთა, ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სამსახურის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი განათლების საკითხებში, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს მდივანი.

სერგი ხიდეშელი - შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს თავმჯდომარე, მიესალმა საბჭოს წევრებს, განსახილველ საკითხებთან დაკავშრებით მოწვეულ სტუმრებს და მადლობა გადაუხადა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს დღევანდელ სხდომაში მონაწილეობისთვის. ამის შემდეგ, სხდომას გააცნო დღის წესრიგი.

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

1.მერიის იურისტების მიერ, ცხოვრებისეულ მაგალითებზე დაყრდნობით, შშმ პირებთან შემხეობაში მყოფი პასუხისმგებელი პირების, შშმ პირთა ოჯახების და საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფების ინფორმირებულობისთვის გაწეული მუშაობის შესახებ (აქტივობა 2.1.1.)

მომხსენებელი: **ირმა მაისურაძე,** მერიის იურიდიული სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი;

2.სიღარიბეში მცხოვრებ შშმ ბავშვთა და მოზარდთა სპეციალური საჭიროებების იდენტიფიცირებისა და მისი დაკმაყოფილების მდგომარეობა (აქტივობა 4.1. 2.)

მომხსენებელი: თამარ ლობჯანიძე, მერიის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ბავშვთა უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილების ხელმძღვანელი;

3. შშმ პირთა თვითდასაქმებისა და მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობა.(4.1.2.)

მომხსენებელი: ირინა გობეჯიშვილი, მერიის ეკონომიკის სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი;

4. შშმ და სსსმ ბავშვებისთვის ინდივიდუალური საგანმანათლებლო პროგრამების შედგენისა და შეფასების მდგომარეობის შესახებ ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაგა- ბაღში (5. 1..2.)

მომხსენებელი: მზია გუგეშაშვილი, ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის ბაგა- ბაღის დირექტორი ;

5.ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში და ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის გიგა ჯაფარიძის სახელობის კულტურის სახლში, შშმ პირთათვის, დამოუკიდებელი ცხოვრების მხარდაჭერისა და სოციალური პროგრამების შემუშავების მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის მოსმენა (5.1.3.)

მომხსენებლები: 1. ნაზიბროლა გავაშელი, (ა)იპ ონის მუნიციპალიტეტი მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის დირექტორი;

2. **მალხაზ ჯაფარიძე,** ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის გიგა ჯაფარიძის სახელობის კულტურის სახლის დირექტორი;

6. შშმ პირთათვის ინკლუზიური ტურიზმის განვითარების ხელშესაწყობად გაწეული მუშაობის შესახებ(6.1. აქტივობა 6.1.2. აქტივობა 6.1.3.)

მომხსენებელი: **მანანა ბოლქვაძე,** ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის ტურისტული საინფორმაციო ცენტრის დირექტორი;

7. სკოლის ასაკის სსსმ და შშმ ბავშვებთან დასაქმებული ინკლუზიური განათლების სპეციალისტების მიერ გაწეული მუშაობის თაობაზე, ინფორმაციის მოსმენა (აქტივობა 7.1.3.)

მომხსენებელი: **ნინო მეტრეველი,** ონის საგანმანათლებლო რესურსცენტრის დირექტორი;

8. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების დაცვის 2023 წლის სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ;

მომხსენებელი: სერგი ხიდეშელი, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს თავმჯდომარე;

9. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს გამოკლებული წევრის ნაცვლად, ახალი წევრის, თამაზ გოგლიძის არჩევის შესახებ

მომხსენებელი: **სერგი ხიდეშელი,** შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს თავმჯდომარე;

მოისმინეს 1.

1.მერიის იურისტების მიერ, ცხოვრებისეულ მაგალითებზე დაყრდნობით, შშმ პირებთან შემხეობაში მყოფი პასუხისმგებელი პირების, შშმ პირთა ოჯახების და საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფების ინფორმირებულობისთვის გაწეული მუშაობის შესახებ (აქტივობა 2.1.1.)

მომხსენებელი: **ირმა მაისურაძე,** მერიის იურიდიული სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი.

მომხსენებელმა ი. მაისურაძემ, იურიდიული სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა, ხაზი გაუსვა, შშმ პირთათვის იურიდიული დახმარების მნიშვნელობას და თქვა, რომ მომსახურების ასეთი სერვისის შეთავაზება, მნიშვნელოვანი მხარდაჭერაა მათთვის, რაც ხელს შეუწყობს და დაეხმარება შშმ პირებს, უფრო მეტი წვდომა ჰქონდეთ, მათი საჭიროებებიდან გამომდინარე, იურიდიულ საკითხებზე, რაც აუცილებლად დაეხმარებათ, ოპერატიულად გადაწყვიტონ საკითხები. ეს, მნიშვნელოვნად დაუზოგავთ დროს. ხელშეწყობილი იქნება მისაწვდომობის პრინციპიც. კარგი იყო, რომ მერიის განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდობის საქმეთა, ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის ფეისბუქგვერდის მეშვეობით, შშმ პირებს ხელი მიუწვდებოდათ, მთელი საანგარიშო პერიოდის მანძილზე, საქართველოს კანონის შშმ პირთა უფლებების შესახებ, თითოეული პუნქტის გასაცნობად, რასაც სურვილის შემთხვევაში, გამოიყენებდნენ კიდეც პრაქტიკულად. სწორედ, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭომ სთხოვა მერიის იურიდიული სამსახურის სტრუქტურულ ერთეულს, რომ მუნიციპალიტეტში მცხოვრებ შშმ პირებს, სისტემატიურად გაუწიოს იურიდიული კონსულტაცია, მათი კომპეტენციის ფარგლებში. ჩვენი სამსახური, ყოველთვის მზადაა ასეთი აქტივობებისთვის. ამ მიმართულებით მუშაობის პრაქტიკამ დაგვანახა, რომ ძირითად საჭიროებას წარმოადგენს კონსულტაციები საოჯახო და სამემკვიდრეო სამართლის საკითხებზე. იურიდიულ კონსულტაციებს მომავალშიც გავაგრძელებთ. კარგი იქნება, იურისტების ტელეფონების გამოქვეყნება და ასეთი პირებისთვის სატელეფონო კონსულტაციების გაწევაც დავნერგოთ პრაქტიკაში.

დაადგინეს 1.

- განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდობის საქმეთა, ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სამსახურმა, უზრუნველყოს საკუთარ ფეისბუქგვერდზე შშმ პირებთან საკომუნიკაციო ტელეფონის ნომერის გამოქვეყნება, იურისტთან (ტელეფონის მფლობელთან) შეთანხმებით;

- შშმ პირის მიერ დასმულ შეკითხვას, პირდაპირი კომუნიკაციის დროს, პასუხი გაეცეს პირველსავე შეხვედრაზე. იმ შემთხვევაში, თუ საკითხის დაზუსტება მოითხოვს დროს, გონივრულ ვადაში დაიგეგმოს კითხვის პასუხის მომზადება და წერილობით ეცნობოს შშმ პირს;

- სატელეფონო კომუნიკაციით შემოსულ კითხვასთან დაკავშირებით, შშმ პირის მიერ დასმულ კითხვას, პასუხი გაეცეს კითხვის დასმისთანავე, ან საჭიროების მიხედვით, დაიგეგმოს კონსულტაციის გამართვის დრო, რაც დაუყოვნებლად უნდა ეცნობოს შშმ პირს.

მოისმინეს 2.

სიღარიბეში მცხოვრებ შშმ ბავშვთა და მოზარდთა სპეციალური საჭიროებების იდენტიფიცირებისა და მისი დაკმაყოფილების მდგომარეობა

მომხსენებელი: თამარ ლობჯანიძე, მერიის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ბავშვთა უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილების ხელმძღვანელი (4.1. 2.)

მომხსენებელი თ. ლობჯანიძე აღნიშნავს, რომ საქართველოში ბავშვის უფლებების დაცვა და მათზე ზრუნვა, სახელმწიფოს მნიშვნელოვანი პრიორიტეტია. სწორედ ამიტომ, საქართველოს მთავრობამ, მუნიციპალიტეტებს, უმნიშვნელოვანესი როლი დააკისრა ბავშვების ძალადობისგან დაცვის, სოციალურად დაუცველი ოჯახებისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების დახმარების საქმეში. მნიშვნელოვანია, რომ მიმდინარე წლის მაისის თვიდან დაფუძნდა ონის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდობის საქმეთა, ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სამსახურის ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილება, რომლის მიზანია, ხელი შეუწყოს შშმ ბავშვების უფლებებისა და თავისუფლებების რეალიზებას, მისი ღირსების დაცვას, კეთილდღეობას, უსაფრთხოებას, სიცოცხლის, ჯანმრთელობის დაცვას, განათლების ხელმისაწვდომობას, სხვა ინტერესების რეალიზებას. ბავშვთა დახმარებისა და მხარდაჭერის სწორად განხორციელების ერთერთი გადამწყვეტი ფაქტორია სიღარიბეში მცხოვრებ შშმ ბავშვთა და მოზარდთა სპეციალური საჭიროებების იდენტიფიცირება, რასაც შემდგომში უნდა დაეფუძნოს მათი კეთილდღეობის უზრუნველყოფა.

ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილების მიერ, ამ კუთხით, ბევრი რამაა გასაკეთებელი. პირველ ეტაპზე, განყოფილებამ, 2022 წლის გეგმის მიხედვით, მოახდინა ონის მუნიციპალიტეტში მცხოვრები 8 შშმ ბავშვიანი ოჯახის საჭიროებების შესწავლა, ზიანის რისკის შეფასება და სკრინინგის ფორმების შევსება, შესწავლილ ყველა ოჯახში გამოიკვეთა სხვადასხვა საჭიროებები.

დღეის მდგომარეობით, მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 27 ოქტომბერის N22 დადგენილების „ონის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის პროგრამა და მიზნობრივი დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ თანახმად, დახმარება გაეწია 3 ოჯახს, თითოეულს 300 ლარის ოდენობით. ბავშვთა უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილებამ, სამუშაო პროცესის დეტალურად შესწავლისა და დახვეწის პარალელურად, მართალია ჯერ სრულად ვერ მოიცვა მუნიციპალიტეტში მცხოვრები ბავშვების საჭიროებების კვლევა, თუმცა 2023 წელს აუცილებლად გაგრძელდება ბავშვთა საჭიროებების იდენტიფიცირება და დარწმუნებული ვარ, რომ კვლევის შედეგებზე დაყრდნობით, შევძლებთ მაქსიმალური დახმარება გაეწიოთ ოჯახებს, რომელთა შვილები განსაკუთრებულ მხარდაჭერას და დახმარებას საჭიროებენ.

დაადგინეს 2

-მიღებული იქნეს ცნობად, ბავშვთა უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილების ხელმძღვანელის თამარ ლობჯანიძის ინფორმაცია, სიღარიბეში მცხოვრებ შშმ ბავშვთა და მოზარდთა სპეციალური საჭიროებების იდენტიფიცირებისა და მისი დაკმაყოფილების მდგომარეობის თაობაზე;

-პერიოდულად მოსმენილი იქნას საკითხი, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს სხდომაზე, მუნიციპალიტეტში სიღარიბეში მცხოვრებ შშმ ბავშვთა და მოზარდთა სპეციალური საჭიროებების იდენტიფიცირებისა და საჭიროებების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით.

მოისმინეს 3 : შშმ პირთა თვითდასაქმებისა და მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობა.(4.1.2.)

მომხსენებელი: ირინა გობეჯიშვილი, მერიის ეკონომიკის სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი

ი. გობეჯიშვილი, მერიის ეკონომიკის სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი, აღნიშნავს, რომ როცა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს დღის წესრიგს გავეცანი, თვითკრიტიკით უნდა ვთქვა, რომ ვერ მივხვდი, ჩემი როლი ამ მიმართულებით, რაში გამოიხატებოდა. დღეს დიდი მადლიერებით მინდა ავღნიშნო, რომ სხდომისთვის საკითხის მომზადების პროცესში, ბევრნაირი ასპექტით დავინახე ჩემი საკეთებელი საქმე, რასაც ვუმადლი საბჭოს. დავიწყე მუნიციპალიტეტში მცხოვრები შშმ პირების სიის მოძიებით, ვინ არიან ისინი. რა გონებრივი და ფიზიკური შესაძლებლობები აქვთ. რამდენ კატეგორიად შეიძლება დავყოთ ისინი. სიები, ფაქტიურად არაფერს მეუბნებოდა. როცა კარგად ჩავუღრმავდი შესასწავლ საკითხს, მივხვდი, რომ ამ მიმართულებით ძალიან ბევრი რამაა გასაკეთებელი. პირველ რიგში, მისაღებია იურიდიული დოკუმენტი, სადაც გაიწერება სტრატეგია მუნიციპალიტეტში მცხოვრებ შშმ პირთა სოციალურ - ეკონომიკური განვითარების პროცესში სრულფასოვნად ჩართვისა და ფიზიკური და კულტურული გარემოს, საცხოვრებელი პირობების, დასაქმების, რეკრიაციის, განათლების და სხვა ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად. სტრატეგიის შემუშავების პროცესში, დავრწმუნდი, რომ აქტიურად უნდა ჩაერთოს ყველა, ვისაც შეუძლია შშმ პირებისთვის საუკეთესო გარემოს შექმნა, მათი ჩართულობის უზრუნველყოფა. საკითხის მომზადების დროს, გავეცანი ზოგიერთი მუნიციპალიტეტის საუკეთესო გამოცდილებებს, რაც დამეხმარება სხვანაირად დავგეგმო მუშაობა ამ მიმართულებით, რათა შესაძლებელი გახდეს შშმ პირთა ჩართვა მუნიციპალიტეტის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროცესში. მიმაჩნია, რომ ამ ეტაპზე, უნდა მოვახდინოთ შშმ პირთა შესახებ, სტატისტიკური მონაცემების განახლება, შესწავლილი უნდა იქნეს უფრო დეტალურად შშმ პირთა შესაძლებლობების კვლევა, დაზუსტდეს მათი საჭიროებები, რის საფუძველზედაც უნდა დაიგეგმოს მუნიციპალური პროგრამებში მთი ჩართულობის შესაძლებლობები, განსახორციელებელი ღონისძიებები და სხვა.

ჩემი ყოველდღიური მუშაობის პრაქტიკაში, გარკვეულ ადგილს აუცილებლად დაიკავებს შშმ პირთა საკითხებზე მუშაობა. მადლობა შშმ საბჭოს, ამისთვის.

ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ა:

სერგი ხიდეშელმა, მუნიციპალიტეტის მერი, საბჭოს თავმჯდომერე, რომელმაც მოიწონა ირინა გობეჯიშვილის, ეკონომიკის სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის მიერ წარმოდგენილი საკითხი და სთხოვა ი. გობეჯიშვილს, მიაწოდოს ინფორმაცია, რომელ მუნიციპალიტეტს აქვს ყველაზე კარგი მუშაობის პრაქტიკა და დააკავშირებს ასეთ მუნიციპალიტეტთან, ამ მიმართულებით შემდგომი მუშაობის უკეთესად დასაგეგმად.

დაადგინეს 3. :

1. ონის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის, იურიდიული სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის, სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის განყოფილება-მეორადი სტრუქტურული ერთეულის, განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდობის საქმეთა, ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის თანამონაწილეობით, შემუშავებული იქნეს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური ინტეგრაციის მუნიციპალური სტრატეგიის პროექტი და წარედგინოს განსახილველად მუნიციპალიტეტის მერს. ამ დადგენილების კონტროლი დაევალოს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს მდივანს ლამარა გამყრელიძეს.

მოისმინეს 4.

შშმ და სსსმ ბავშვებისთვის ინდივიდუალური საგანმანათლებლო პროგრამების შედგენისა და შეფასების მდგომარეობის შესახებ ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაგა- ბაღში (5. 1..2.)

მომხსენებელი: მზია გუგეშაშვილი, ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის ბაგა- ბაღის დირექტორი

მომხსენებელმა მ. გუგეშაშვილმა, ხაზი გაუსვა ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაგა-ბაღში შშმ და სსსმ ბავშვებისთვის ინდივიდუალური საგანმანათლებლო პროგრამების შედგენისა და ბავშვთა შეფასების მნიშვნელობას და აღნიშნა, რომ ბაგა- ბაღში ყველა პირობაა შექმნილი ამ მიმართულებით მუშაობისთვის. ბაგა- ბაღში შექმნილია მულტიდისციპლინური გუნდი, სადაც შედიან ფსიქოლოგი, ლოგოპედი, სპეცპედაგოგი, მეთოდისტი, ჯგუფის აღმზრდელი და მშობელი. მათ ცალკე აქვთ მოწყობილი სამუშაო სივრცე, სადაც ყველა პირობაა შექმნილი გუნდური მუშაობისთვის, ახალი მეთოდური მასალის გაცნობისთვის, ურთიერთგამოცდილების გაზიარებისთვის და სხვა. გუნდის წევრები, საჭიროების მიხედვით, კონკრეტული ბავშვისთვის ადგენენ ინდივიდუალურ გეგმებს, რომელიც გამომდინარეობს სახელმწიფო პროგრამიდან და სტანდარტიდან. სასწავლო წლის დაწყებიდან, ერთი თვის შემდეგ, ბავშვზე დაკვირვებაზე დაყრდნობით, ხდება ბავშვის შეფასება, სპეციალური შეფასების ფორმებით, რასაც დიდი ყურადღება ეთმობა. მნიშვნელოვანია, რომ მულტიდისციპლინური გუნდი, გადამზადებულია ინკლუზიაში. ბაგა-ბაღი ასევე, დიდ ყურადღებას უთმობს ჯგუფის აღმზრდელთა გადამზადებასაც. ოქტომბრისა და ნოემბრის თვეებში, აღმზრდელებმა უკვე, გაიარეს განათლების სამინისტროს პროგრამის მიხედვით, სასერთიფიკაციო ტრენინგ-კურსები, რომელიც ითვალისწინებდა კურიკულუმის მომზადებას და თანამედროვე მიდგომებით სკოლამდელი ასაკის ბავშვთა აღზრდასა და განათლებას, მათ შორის, ინკლუზიას. ნოემბრის თვეში, მერიის სამსახურის განათლების მიმართულებით უფროს სპეციალისტთან ერთად, ასევე გავიარე განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ ჩატარებული ორდღიანი ტრენინგი, სადაც დიდი ადგილი ჰქონდა დათმობილი, თუ რას ნიშნავს ინკლუზიური განათლება და რა

გამოწვევებია ამ მხრივ. ინკლუზიის მიმართულებით მუშაობაზე დაწესებულია, როგორც შიდა მონიტორინგი, ასევე მერიის შესაბამისი სამსახურის მიერ ხდება შეფასება და საჭიროების მიხედვით, რეკომენდაციების მიღება. ავტორიზაციის პროცესი ამ მიმართულებას საფუძვლიანად ამოწმებს და აქედან გამომდინარე, ვცდილობთ ყველაფერი გვქონდეს ხარისხის სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობაში.

დაადგინეს 4.:

1.მიღებული იქნეს ცნობად ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღის დირექტორის მზია გუგეშაშვილის ინფორმაცია „შშმ და სსსმ ბავშვებისთვის ინდივიდუალური საგანმანათლებლო პროგრამების შედგენისა და შეფასების მდგომარეობის შესახებ ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაგა- ბაღში“.

მოისმინეს 5:

ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში და ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის გიგა ჯაფარიძის სახელობის კულტურის სახლში, შშმ პირთათვის, დამოუკიდებელი ცხოვრების მხარდაჭერისა და სოციალური პროგრამების შემუშავების მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია (5.1.3.)

მომხსენებლები:

1. ნაზიბროლა გავაშელი, (ა)იპ ონის მუნიციპალიტეტი მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის დირექტორი;

2.მალხაზ ჯაფარიძე, ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის გიგა ჯაფარიძის სახელობის კულტურის სახლის დირექტორი;

მომხსენებელმა, ნაზიბროლა გავაშელმა აღნიშნა, რომ შშმ ბავშვზე როცა ვსაუბრობთ, ეს მოგეხსენებათ, ძალზე სენსიტიური თემაა. ჩვენ გვყავს ერთი ბავშვი, რომელსაც განსაკუთრებული ყურადღება სჭირდება. მასწავლებლებმა კარგად იციან მისი საჭიროებები და ყველაფერს აკეთებენ მასთან სწორი თანამშრომლობისთვის. წარმატებებიც აქვს ბავშვს. ის ჩარიცხულია სახვადასხვა წრეში. სამწუხაროდ შენობა, სადაც ჩვენ ვმუშაობთ, არ იძლევა შშმ პირ ბავშვებზე ადაპტაციის შესაძლებლობას. მადლიერი ვარ, რომ განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდობის საქმეთა, ბავშვის უფლებების დაცვის სამსახურის უშუალო მხარდაჭერითა და დახმარებით, არასამთავრობო ორგანიზაციამ „ერთად რეალური ცვლილებებისთვის“ (გამგეობის თავმჯდომარე ნანა ლომაძე), შშმ ბავშვს გადასცა დიდი რაოდენობით გლუკომეტრის ჩხირები.

კარგი იქნება, თუ საბჭოს შუამდგომლობით, მინდობით აღზრდაში მყოფი ბავშვები ჩაირიცხებიან ჩვენთან, წრეებში. ჩვენ შევისწავლით, ინკლუზიის მიმართულებით მომუშავე სპეციალისტებთან ერთად, ასეთი ბავშვების საჭიროებებს და ინდივიდუალური გეგმების მიხედვით ვიმუშავებთ.

ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის **კულტურის სახლის დირექტორი მალხაზ ჯაფარიძემ** თქვა, რომ, პირველად ვესწრები საბჭოს სხდომას და მიხარია, რომ ამ მიმართულებით მუშაობა მიმდინარეობს მუნიციპალიტეტში. კულტურის სახლი, მართლაც არ არის ადაპტირებული, მარტო ერთი პატარა პანდუსია მოწყობილი შენობის გვერდითა კართან. რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, დაგეგმილია კულტურის სახლის რეაბილიტაცია. კარგი იქნება, თუ გათვალისწინებული იქნება შენობის ფასადიდან სტანდარტული პანდუსის მოწყობა.

უფრო მეტს უნდა ვაკეთებდეთ შშმ პირთა დამოუკიდებელი ცხოვრების მხარდაჭერისა და სოციალური პროგრამების შემუშავებისთვის ორივე ა(ა)იპ ორგანიზაცია, რასაც სამომავლოდ აუცილებლად გავითვალისწინებთ.

ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს:

1.მანანა ჩაგელიშვილმა, საბჭოს წევრი, რომელმაც აღნიშნა, რომ ჩვენ 2023 წლის საბჭოს სამუშაო გეგმაში გათვალისწინებული გვაქვს შშმ ბავშვთა არაფორმალურ განათლებაში ჩართვის მიზნით სხვადასხვა აქტივობების ჩატარება. ბავშვთა უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილებას დაევალება, შეისწავლოს მინდობით აღზრდაში მყოფი ბავშვების საჭიროებები და მათ, აუცილებლად ჩავრთავთ არაფორმალურ განათლებაში. ეს ძალზე მნიშვნელოვანია მათი სკოლისგარეშე განათლებისათვის, რაც ასევე შესაძლებელს ხდის, ბავშვებს გამოუმუშავდეთ ისეთი უნარები, როგორიცაა კომუნიკაციის, გუნდურობის, შემოქმედებითად აზროვნების უნარები. ამასთან ერთად, აუცილებელია ა(ა)იპ ორგანიზაციებმა, თავიანთ სამუშაო გეგმებში, გაითვალისწინონ შშმ პირთა დამოუკიდებელი ცხოვრების ხელშესაწყობად, სხვადასხვა სახის აქტივობების დაგეგმვა და განხორციელება.

2. **მარიამ რაზმაძემ,** რომელმაც ხაზი გაუსვა, იმას, რომ დიაბეტიანი ბავშვები, წლის მანძილზე 600 ლარით ფინანსდებიან, ხოლო 2023 წლისთვის 18 წლამდე ასაკის ბავშვებისათვის აბილიტაციის პროგრამა 1000 ლარამდე გაიზარდა.

დაადგინეს 5.:

- ბავშვთა დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილებამ (განყოფილების ხელმძღვანელი თამარ ლობჯანიძე) 2023 წლის სამუშაო გეგმაში გაითვალისწინოს მინდობით აღზრდაში მყოფი ბავშვების საჭიროებების შესწავლა;

- ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო დაწესებულებების დირექტორმა შეუფერხებლად უზრუნველყონ მინდობით აღზრდაში მყოფი ბავშვების ჩარიცხვა სხვადასხვა შემოქმედებით და საგნობრივ წრეებში.

მოისმინეს 6.

შშმ პირთათვის ინკლუზიური ტურიზმის განვითარების ხელშესაწყობად გაწეული მუშაობის შესახებ(აქტივობა 6.1.2. აქტივობა 6.1.3.)

მომხსენებელი: **მანანა ბოლქვაძე,** ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის ტურისტული საინფორმაციო ცენტრის დირექტორი;

მანანა ბოლქვაძე - ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის ტურისტული საინფორმაციო ცენტრის დირექტორი აღნიშნავს, რომ ძალიან მიხარია ერთად, რომ ვართ და ვიხილავთ შშმ პირთა საჭიროებებს. მათ შორის საკითხს, რომელიც ეხება ინკლუზიური ტურიზმის განვითარების ხელშეწყობას. სამწუხაროდ, ჯერჯერობით ვერ მოვახერხე, რომ გავეცნო შშმ პირების შესახებ მონაცემებს, რადგანაც შშმ პირთა სიები კონფიდენციალურია. შესაბამისად, გარდა იმისა, რომ ძალიან ცოტა ხანია ვმუშაობ ამ პოზიციაზე, ამას ემატება ისიც, რომ არ ვიცნობ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრებ შშმ პირების გონებრივ და ფიზიკურ შესაძლებლობებს, ვერ მოვახერხე მათი ჩართვა ინკლუზიური ტურიზმის მიმართულებით. თუმცა, თუ თქვენთვის საინტერესო

იქნება, სხვა მიმართულებით დაგროვილი მაქვს გარკვეული გამოცდილება და მოგახსენებთ. მაგალითად, დავუკავშირდი მერის წარმომადგენლებს, რომლებმაც გამაცნეს არაჩვეულებრივი გონებრივი შესაძლებლობების მქონე შშმ პირები. ერთერთი პირი, რომელიც სოფელ გლოლაში ცხოვრობს, სწორედ გუშინ დავიწყეთ ახალი პროექტი მისი ჩართულობით, მცირე საოჯახო მეურნეობის განვითარებისთვის. ბევრი რამის გაკეთება ნამდვილად შეიძლება შშმ პირთა გაძლიერების თვალსაზრისით.

მ. ბოლქვაძემ შშმ პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს გააცნო, აჭარაში განხორციელებული სხვადასხვა საინტერესო პროექტებთან დაკავშირებით ინფორმაციები, რაც მართლაც საინტერესო გამოდგა.

აზრი გამოთქვა:

-სერგი ხიდეშელმა - შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს თავმჯდომარემ, რომელმაც თქვა, რომ ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის ტურისტულმა საინფორმაციო ცენტრმა უნდა გააგრძელოს მუშაობა აქტიურად ამ მიმართულებით.

დ ა ა დ გ ი ნ ე ს 6:

-მიღებული იქნას ცნობად ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის საინფორმაციო ტურისტული ცენტრის დირექტორის მანანა ბოლქვაძის ინფორმაცია შშმ პირთათვის ინკლუზიური ტურიზმის განვითარების ხელშესაწყობად გაწეული მუშაობის შესახებ;

მოისმინეს 7.

სკოლის ასაკის სსსმ და შშმ ბავშვებთან დასაქმებული ინკლუზიური განათლების სპეციალისტების მიერ გაწეული მუშაობის თაობაზე, ინფორმაციის მოსმენა (აქტივობა 7.1.3.)

მომხსენებელი: **ნინო მეტრეველი,** ონის საგანმანათლებლო რესურსცენტრის დირექტორი;

ნინო მეტრეველმა, ონის საგანმანათლებლო რესურსცენტრის დირექტორმა მოახსენა საბჭოს, რომ მუნიციპალიტეტის საჭიროებებიდან გამომდინარე, ოთხ სკოლაში იგეგმება და ხორციელდება ინკლუზიური განათლებით განსაზღვრული ღონისძიებები. ეს სკოლებია: სიმონ სხირტლაძის სახელობის ქალაქ ონის საჯარო სკოლა, სოფელ ღარის საჯარო სკოლა, სოფელ პიპილეთისა და სოფელ ღების საჯარო სკოლები. 2022 – 2023 სასწავლო წელს, ონის საჯარო სკოლაში დასაქმებულია ორი სპეციალური მასწავლებელი. სკოლაში 9 სსსმ ბავშვია, რომლებიც მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნის საფუძველზე, ჩაერთო ინკლუზიურ განათლებაში. მათ შორის, ერთ მოსწავლეს სპეციალური საჭიროებებიდან გამომდინარე, დაენიშნა ასისტენტი. ეს მოსწავლე, ამჟამად შინ სწავლებაზეა გადაყვანილი. ასისტენტი, ასევე ეხმარება სხვა სსსმ მოსწავლეებსაც. ღარის საჯარო სკოლაში არის ერთი სპეციალური მასწავლებელი და ერთი სსსმ მოსწავლე, მოსწავლე შინ სწავლებაზეა გადაყვანილი. ღების საჯარო სკოლაში ერთი სსსმ ბავშვი სწავლობს, რომელიც ენის ბარიერით გამოწვეული სირთულითაა. სკოლაში ერთი სპეციალური მასწავლებელია დასაქმებული. სოფელ პიპილეთის საჯარო სკოლაში ერთი სპეციალური მასწავლებელია და ერთი სსსმ მოსწავლე - სოციალური ფაქტორით გამოწვეული სწავლის სირთულითაა. სასწავლო წლის დასაწყისში, ყველა სპეციალურმა მასწავლებელმა სსსმ მოსწავლეების მშობლებთან,

დამრიგებლებთან და საგნის მასწავლებლებთან ერთად, შეიმუშავა მოსწავლეებისთვის განკუთვნილი ინდივიდუალური სასწავლო გეგმები, რომლის განხორციელებაც ხდება სსსმ მოსწავლის თითოეული მასწავლებლის მიერ, საგაკვეთილო პროცესში. სპეცმასწავლებლების მიერ ხდება საგაკვეთილო პროცესზე დასწრება და საჭიროების მიხედვით ხდება ინდივიდუალურ გეგმაში ცვლილებების შეტანა. სპეციალური მასწავლებლები მუდმივად მუშაობენ პოტრფოლიოზე. აქ თავმოყრილია ინდივიდუალური სასწავლო გეგმები, სხვადასხვა ტესტები და აქტივობები, რის მიხედვითაც ფასდება სსსმ ბავშვის უნარები და იკვეთება მიღწეული შედეგები, საჭიროებები, შესაძლებლობები და გარკვეული შედეგების შეფასების შემდეგ, იგეგმება სამომავლო მუშაობა. 2022 წლიდან, ონის საჯარო სკოლაში, საგნის მასწავლებლებმა, უკვე დაიწყეს მუშაობა სსსმ მოსწავლეებთან ახალი ინდივიდუალური სასწავლო გეგმის მიხედვით, რომლის ფარგლებში მასწავლებლები მუშაობენ კომპლექსური დავალების ადაპტირებული გეგმით. სპეცმასწავლებლებს აქტიური თანამშრომლობა აქვთ მშობლებთან. ცდილობენ ბავშვები ჩართონ სხვადასხვა სკოლისგარეშე შემეცნებით აქტივობებში, რასაც გარკვეულ შედეგებამდე მივყავართ.

ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს:

- მანანა ჩაგელიშვილმა - საბჭოს წევრი, განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდობის საქმეთა, ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სამსახურის ხელმძღვანელი. ჩვენ გვაქვს იმის აუცილებლობა, რომ მოვახდინოთ სსსმ მოსწავლეთა უახლოეს სკოლაში ტრანსპორტირება, იმ ვარაუდით, რომ დაცული იყოს ბავშვთა უსაფრთხოება ონის მუნიციპალიტეტის მერის დახმარებით, შესაბამისი საჭიროების მქონე ბავშვებისა და ზრდასრულთათვის, გადმოგვეცა ტრანსპორტში გამოსაყენებელი პანდუსი, რომელიც ნაწილობრივ მოხსნის უსაფრთხოების პრობლემას. ამ მიმართულებით მუშაობა კვლავ გაგრძელდება მუნიციპალიტეტში;

- სერგი ხიდეშელმა - შშმ პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს თავმჯდომარე, მან მადლობა გადაუხადა ონის საგანმანათლებლო რესურსცენტრის დირექტორს საბჭოსთან თანამშრომლობისთვის და თქვა, რომ ჩვენ ერთიერთთანამშრომლობის გზით, უფრო მეტს გავაკეთებთ შშმ და სსსმ ბავშვთა კეთილდღეობისთვის. მთავარია ვიცოდეთ საჭიროებები. იმ შემთხვევაში, თუ დაგვჭირდება განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დახმარება და მხარდაჭერა, მაშინ მივწერთ, რა დახმარებაც იქნება მათგან საჭირო.

დაადგინეს 7:

-მიღებული იქნეს ცნობად, ონის საგანმანათლებლო რესურსცენტრის დირექტორის ნინო მეტრეველის ინფორმაცია „სკოლის ასაკის სსსმ და შშმ ბავშვებთან დასაქმებული ინკლუზიური განათლების სპეციალისტების მიერ გაწეული მუშაობის თაობაზე“.

მოისმინეს 8. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების დაცვის 2023 წლის სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ;

მომხსენებელი: სერგი ხიდეშელი, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს თავმჯდომარე;

დაადგინეს 8.

-დამტკიცდეს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების დაცვის 2023 წლის სამოქმედო გეგმა.

მოისმინეს 9.

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს გამოკლებული წევრის ნაცვლად, ახალი წევრის, თამაზ გოგლიძის არჩევის შესახებ

მომხსენებელი: სერგი ხიდეშელი, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს თავმჯდომარე;

მომხსენებელმა, ხაზი გაუსვა საბჭოს წევრის, ვეფხია გუგეშაშვილის წვლილს საბჭოს მუშაობაში და ერთხელ კიდევ გამოხატა წუხილი, მისი გარდაცვალების გამო. ამის შემდეგ საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა შშმ პირის, თამაზ გოგლიძის კანდიდატურა.

საბჭოს წევრებმა მხარი დაუჭირეს თამაზ გოგლიძის კანდიდატურას.

თ. გოგლიძემ მადლობა გადაუხადა საბჭოს თავმჯდომარეს და წევრებს გამოცხადებული ნდობისთვის და აღნიშნა, რომ ყველაფერს გააკეთებს, რომ საკუთარი წვლილი შეიტანოს შშმ პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს საქმიანობაში.

დაადგინეს 9. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს შემადგენლობაში შეყვანილი იქნეს თამაზ გოგლიძე.

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე

საბჭოს თავმჯდომარე - სერგი ხიდეშელი

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე

საბჭოს მდივანი - ლამარა გამყრელიძე

”